

პ ე ი ზ ა უ ი

გადიარბენს ეჭვები ტიტანიურ მწვერვალს...
წინ თუ იმედები, — უკან გლოვის გორები.
ესდენ სარკოვანები, რომ აქამდის ეღვარებენ,
ნეტავ სანამ ვიწვალებით ასე განმეორებით...

ალარფრად არა ღირს როცა მილიარდები,
ისევ კაპიტლებზე შიარები, გინება...
ჩვენ ვთავაზობთ მარადის, როგორც ბილიარდებზე
და ნარდებში სულ ვიგებთ, თუ კი ზარმა ინება.

შეხვედრები უგულო და სალამი გვიანი.
უძლურების ბრაღია, რომ ტირიან ბავშვები.
ზიზლი ტირიან მსოფლიოს, რომ არ არის ჭკვიანი.
მუდამ შეგეჯიბრებით საოცარი რაშებით!

ნეტავ სულაც არ იყოს მოგონება ცხიერი...
ოღნავ კარი შევალე — ზიზლით გამოისტუმრა...
„ლალიქსთან“ კბილს იწმენდს დადიანი მშვიერი...
(შეარყია ფიფი ალმა კომუნისტურმა).

ცეცხლი რომ არ გვათბობდეს, მოგვცდებოდათ ავღრებით.
საუკუნე განცვიფრდა ზეცის ვალაყვარებით.
და თუ სახრზოვლებზე თქვენ წამებას ასცდებით,
მე თქვენ დღესასწაულზე გელით სისხლის ვარდებით.

მე რომ ავთ არ ვიყო აღსარების უბეში,
მუდამ ჯვარის წერაზე ვიქნებოდი მაყარი.
და თუ გულკეთილობით მე მოგეცი ნუგეში,
შენც აკაცის ცრემლები ვარდად გადამაყარი.

ბ. პატარაია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ზ ა

საქ. მემარცხ. სოც.-ფედერ. სარეგულირებელი პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტი ამოცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 15 ივლისამდე გაცემული უნდა იქნება განცხადება.

ამხანაგებს ვთხოვთ გამოცხადდნ ახალი მანდატების მისაღებათ კომიტეტის წევრად, რომელსაც კენჭი უნდა ავიყენოთ.

ქუჩა № 40, სალამის 5-6 ს-დე ამა წლის 10 სექტემბრამდე. ვინც არ გამოცხადდება, ამოიციტული იქნება ორგანიზაციის წევრობიდან.

5-4

კომიტეტის მდივანი: ერ. სუპატაშვილი.

მე-4 რაიკომი სთხოვს მსურველთ ჩაწერონ მონაწილეობა გუნდში აშხ. ნიკ. საყვარელიძისთან, რომელსაც მიენდო გუნდის შედგენა და ხელმძღვანელობა.

მე-4 რაიკომის პასუხ. მებებელი მდივანი აკ. ხირაძე.

გ ა რ კ ა ლ ა ნ ი „ თ ვ ი თ უ რ ო ვ ა ლ ი “

საპარტიო ფლოტის კვირის ჩამტარებელ ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებამ სათანადო გამოცხადებული 330-ზე მეტი თვითმშრომელ საზოგადოებაში.

ჯერ კიდევ საპარტიო ფლოტის კვირის გათავების შემდეგ თვითმშრომელთა საზოგადოების კომიტეტი შეუდგა სათანადო მუშაობას მაგრამ არა შემოწირულების და თავისი წვლილის შეტანის სახით — არა მით მოინდომეს თავისი პარტიულანის ავტობუსი: „დღე საბჭოთა წითელ მემარ მფრინავთა გუნდთა შორის პარტიის ტალღებში ითარეშოს საქართველოს ხელისაწა გულადმა და დაუნდობელმა წითელმა არწივმა“.

აი ლოზუნგი რომელიც გადასროლილ იქნა საზოგადოების წევრებ ხელისაწა შორის.

ლოზუნგ-მოწოდებამ სათანადო გამოცხადებული 330-ზე მეტი.

19 ავგისტოს მრავალრიცხოვანმა კრებამ, რომელსაც რამოდენიმე ათასი კაცი დაესწრო და დადგინა: აავონ თავიანთი პარტიულანი. ზოგიერთ გარეშე ამხანაგებს გაეცინათ „აბა როგორ აავტენ ისინი პარტიულანსო“, მაგრამ საქმე სულ სხვა დაგვანახვა, შესდგა ცენტრალური კომისია აშხ. შავი-შვილის ხელმძღვანელობით.

ერთი კვირა რაც მუშაობა დაიწყო შემოწირულება გროვდება.

ერთი კვირის განმავლობაში შემოვიდა ერთი მილიარდ რვას ოცდა ცხრამეტი მილიონი (1.839,000,000) მანეთი, ერთი დოლარი, 1 ჩერვონეცი, 1 აზიური ახალი უნაგარი ლირებული ას ორმოცდა ათ მილიონ (150.000.000) მანეთად, (შემოსწირა და სარქისოვმა), 20 ცალი სხვა და სხვა ფერის ტყავები ლირებული 200,000,000 მან. და ორი წყვილი ახალი ფესაცემლები.

სულ კი ორ მილიარდ ორას სამოცდათხუთმეტი მილიონი მანეთი (2.275.000.000).

გაცხოველებული მუშაობა მიდის.

გაუმარჯოს „თვითმშრომელს“ ფილიპე მახარაძის სახელობისას.

გარში.

ა რ კ ა ლ ა ნ ა

3.

აგარაკი ბანკარო. ბინების საკითხი ბანკაროზე წელს ძალიან ცუდად იდგა. მოაგარაკეთა რიცხვი ცხრა ათასამდე აღწევდა. იყო ბევრი შემთხვევა, რომ ერთ ოთახში 16 კაცი ცხოვრობდა. ყურადღება რომ არ მივაქციოთ იმ უხერხულობას, რომელიც იქნება რამდენიმე სრულად უცნობი ოჯახის ერთ ოთახში მოთავსებას, ასეთი ცხოვრება დაუშვებელია გოგინური თვალსაზრისითაც. „სანამ ბინების ასეთი ნაკლებობა იქნება, უმჯობესია ორსულებში (როგორც გუბიის ცენტრში), განაწილდეს ბანკაროს ბინები.“

წელს ბანკაროზე ადგილი ჰქონდა სახლების ჩამორთმევას. ეს დიდი შეცდომაა. ამ აგარაკზე სახლებს აშენებს უმთავრესად მოხლებები (უსტები) მეტ ნაწილად სახლები სამ ან ოთხ ოთახიანები. იმეათი შემთხვევა ვინმეს ორი ან სამი სახლი ჰქონდეს; სახლების ჩამორთმევას და განსაზღვრულ ფასებში გაქირავებას მთავრობისათვის დიდი სარგებლობა არ მოაქვს, ჩამორთმევის შიში კი ბევრს დააფრთხობს თუ სახელმწიფო შეუდგება სახლების გაშენებას მაშინ დასაშვებია კერძო მეპატრონეთათვის სახლების ჩამორთმევა. წინააღმდეგ შემთხვევაში სააღმშენებლო საქმეში კერძო ინიციატივაც მოისპობა, რაც ცუდია საქმისათვის.

სულ რალაც ექვსი სახლია ჩამორთმეული და ეს საკმაო შიშს ბადებს და ახალი სახლების აგებას ხელს უშლის.

არის კიდევ ერთი გარემოება. მხედველობაში მისაღები: ბანკაროს გარშემორტყმულ ტყეებში შეხვედრებით ბევრ წაქეციულ ხეებს. ეს ხეები გამოდგება შენობისათვის მხოლოდ წაქეცივის პირველწყარად. ამას გამოყენება უნდა. ხეები არ უნდა ღებოდეს. მაგრამ სატყეო ძალიან ძვირად აფასებს და ამგობინებს დალაბას, თუ „ხეირანი“ ფასი ვერ აიღო. თუ ვინმე აგებული შენობის ჩამორთმევის შიში გადალახა ამ სიძვირს ვერ უძლებს. ერთი წაქეციული ნაძვის ან ფიჭვის ხე, რომელიც მხოლოდ წელს შეიძლება გამოყენებულ იქნას თხოუმეტდიან ოც მილიონამდე ფასით. დაინტერესებული მყიდველი ამგობინებს ცოტა მეტი გადახადის და ხე მოსკრას. უმჯობესი არის წაქეციული ხეები ვაჰყიდოს სატყეო თუნდ იაფ ფასად, ამით სახლების აგებასაც ხელს შეუწყობს, წაქეციული ხეები უსარგებლოდ აღარ დაღებება და ბანკაროს სალი ჰაერის წყარო — ნაძვარი გადარჩება გაჩენას.

რომ სახლების აგების საქმე ცუდად არის იქნენადაც მტკიცდება, რომ წელს, როდესაც შემოქმედებით მუშაობისათვის სხვა წლებთან შედარებით უკეთესი პირობებია, მხოლოდ ერთი სახლის აშენება დაწყებული და ისიც ერთ ოთახიანის. ბანკაროზე ხის სახლების აგება მიიწევა და, მიიწევა საძილო საქმეს არ წარმოადგენს, მაგრამ საჭიროა უფრო გარკვეული ხაზი, ან მთავრობამ თითონ უნდა მოაწესრიგოს ეს საქმე ან კერძო პირებს ფართე გასაქანი და საშუალება მისცეს.

წინადა ეკონომიურ სფეროში გამგებამ ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი. იმ დროს, როცა არსებობდა 27 კერძო საეკონომიკური გამგებანი იჯარით ჰქონდა გაცემული მხოლოდ ორი სასადალო, საყაბო და ერთი საწვრილმანო ფურნი.

კოოპერატივის ჰქონდა საშუალება რძის ნაწარმობით მთლად ჩაეღვრა ხელში, მაგრამ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი. ბანკაროზე არ იყო უბრალო რძის საშინჯიცი კი.

მოაგარაკებს აწვიდენდნ რძის მაგიერ წყალს.

პროლეტარული საღამოები პროვინციაში. გორში 31 ავგისტოს საღამო ეულის ხელმძღვანელობით გაიმართა ქართული პროლეტარულ ხელოვნების საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ამისთანა საღამოები გაიმართება სხვა დაბაქალაქებში.

რკინის გზის ხარჯთა აღრიცხვა. ა. კ. რკინის-გზის სამართლებლო შემოწმება ა. — კ. რკინის-გზის ხარჯთა აღრიცხვა, რომელიც უკვე წარედგინა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დასამტკიცებლად.

დიდი ხნის სამსახურის გამო. საქარო თანხის მიღებამდე რკინის გზის მმართველობამ დროებით შეაჩერა დახმარების გაცემა მრავალწლიან მოსამსახურეებზე.

აგარაკის ადგილზე კომუნალში. ა. — კ. სახ. კომისარიატს საბჭოთა სტრუქტურის ადგილზე კომუნალში აგარაკი, რისთვისაც დაეგეგმა „ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს შეიმუშავოს საჭირო ხარჯთ. აღრიცხვა.“

მანუაქტურის დარიგება მუშებზე. ნავთილის ადგილკომში რკინის გზის პროფ. კავშირისაგან მიიღო დიდძალი მანუაქტურა ადგილობრივ მუშებში გასანაწილებლად.

საპარტიო ფლოტის სახარგებლოდ. სადგურ ქარელის მუშა მოსამსახურეებმა დაადგინეს საპარტიო ფლოტის სასარგებლოდ გადასდონ სამი თვის განმავლობაში თვეში თითო დღის ხელფასი.

მოსკოვის გამოფენაზე. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოს მესაქონლების ექსპორტები რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე გამოფენილი იქნა 1 სექტემბერს.

განსხვავების მიცემა. დამზღვევ კასამ დაადგინა: დახმარება, რომელიც მიეცემა წინასწარ, შემდეგ მიეცეს განსხვავება უკანასკნელ დღის კურსის მიხედვით.

ვადის გაგრძელება — დასაზღვევად. დამზღვევ კასამ გადასწყვიტა უმუშავართ ვადა გაუგრძელოს.

უმუშევართა მოძრაობა. 6 სექტემბერს შრომის ბირჯზე აღრიცხვაზე გამოცხადდა 517 უმუშევარი. გაიგზავნა საშუალოზე 49 უმუშ.

შესაქონლეთა ფერმები. მიწათ მოქმედების კომისარიატის განკარგულებაში არსებულ მე-საქონლების ფერმები გადაეცა სახალხო მამულების სამართლებლოს.

ქართულ მუხაიკის კათედრა. ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში არსდება ქართულ მუსიკის კათედრა. მიწვეულია კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი.

ვალუტის კურსი.

7 სექტემბერი.	
ჩერვონეცი	44,300,000 მ.
სტერლინგი ეფექ.	43,300,000 "
ჩეკი.	42,000,000 "
დოლარი ეფექ.	9,500,000 "
ჩეკი.	8,800,000 "
ოსმალური ლირა	6,050,000 "
საბჭოთა ფული	21,000 "

გ ა რ კ ა ლ ა ნ ი

შაბათს, 8 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, საქ. მეგ. სოც. ფედ. ქალთა განვ. ოთახში ლორის მე-ლიქოვის 1) დანაშაულთა პარტიულ ქალთა კრება გასარჩევია ფიჩად საინტერესო საკითხები. წევრებს ევალებათ გამოცხადდნ აუცილებლად აღნიშნულ დროზე.

საქონლზე — 20 კ. ოქროთი. დღიდან საქონლის დატყვევებისა თუ მეპატრონე არ გადაიხდის სანაღმას, ათი დღის განმავლობაში დატყვევებული გაცივებული იქნება.

ახალი აგრონომები. ლენინის სახელობის ტექნიკური ინსტიტუტში აგრონომიული კურსები დასრულა 10 კაცმა, რომელთაც მიეცათ სათანადო მოწოდებები აგრონომობისა.

ხიდეზიდგან ნავთის გადაყრის აკრძალვა. აღმასკომის კომუნალურ განყოფილების კომუნალურ დაევალა უძრავ ქონებათა სამართლებლო განყოფილებისათვის სათანადო დადგენილება ხიდეზიდგან ნავთის გადაყრის აკრძალვისა.

სტუდენტთა — მოვარჯიშენი მოხკოვის გამოფენაზე. საცდელ საქმეთა განყოფილებაში მოხკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გაიგზავნა სტუდენტთა — მოვარჯიშე, რომელთაც დაევალოთ დაბრუნებისთანავე გააკეთონ მოხსენებები სათანადო დაწესებულებებში.

ასეთია საერთო ტენდენცია, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ამ შემთხვევაში განმარტოვებით სდგას მხოლოდ ქუთაისი. როგორც იყო 25 წლის წინ, ისეთივეა დღესაც: იგივე შეფარდება წლოვანების ჯგუფებს შორის 1897 წელსა როგორც ახლა. საერთოდ ქუთაისი დანარჩენ შემთხვევებშიც ნაკლებად იჩენს კაცობა ორგანიზმის ნიშნებს. მისი მოსახლეობის დაზიანება, როგორც უკვე ხანს განხილულ მასალიდან, თითქმის არ სცილდება ბუნებრივი მოძრაობის საზღვრებს; თითქმის ქუთაისმა არც კი იცოდეს გაგრძელებული არსებობა და ამ უკანასკნელმა კი მისი არსებობისა. ასე რომ იგი უფრო გაქვავებულ სოფლში მოგვაგონებს, ვიდრე თანამედროვე შფოთთან ქალაქს.

ეს რა თქმა უნდა, ცუდად არ ჩაეთვლის ქუთაისის: ამის მიზეზი მისი ეკონომიური და სოციალური ცხოვრების შინაგან ბუნებაში იმარხება, რის შესახებაც გვეჩვენა საშუალება ვილაპარაკოთ შემდეგში.

საინტერესო იყო წლოვანების საკითხი განვიხილო სქესის მიხედვით და აგრეთვე საშუალო ასაკის თვალსაზრისით, მაგრამ უადგილობის გამო ამ ქაშად არ შეუდგებოდა მათ გარჩევას. ამ საკითხებს შემდეგში გზა და გზა შევხებით სხვა საკითხებთან დაავსებრებით. ესლა კი მეორე, როგორც უფრო საყურადღებო, საკითხის საილოუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ მიმართებით რიცხვებს: რაც შეეხება პირველს, ესე იგი წლოვანების საკითხს სქესთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ მასალა არ გვაჩვენებს ამ მხრივ დიდ და მოულოდნელ გადახრას არც თვითთელი ქალაქის ფარგლებში და რაც ამ ქალაქთა ერთი მეორესთან დაპირდაპირებით.

სამუშაო ჰისაკის მიხედვით პროცენტული და მოკიდებულება მოსახლეობის შედგენილობაში ასეთია:

წლოვანება	ბათონში	ქუთაისში	სოხუში	ფოთში
0-14	28.2	34.6	30.7	37.0
15-19	10.4	12.9	10.2	11.8
20-59	56.8	44.8	54.3	47.9
60-69	3.1	4.2	3.2	3.9
70 და მეტი	1.5	3.5	1.6	2.4
სულ	100	100	100	100

თუ გავიხსენებთ რაც ნათქვამი იყო ზევით ამ ქალაქების დასახსიათებლად და კერძოდ ქუთაისში და დაევალებით მათ ასეთი თანაბმდევრობით — ქუთაისი — ფოთი — სოხუში — ბათონი ან თუნდაც შეზღუდვებით, მაშინ ძნელი არ იქნება ამ უკანასკნელი ცხრილის წინასწარი ახსნაც, ხოლო მისი დასაბუთება კი უმდევ, როდესაც ხელა გვეჩვენება მასალა ხელობის, პროფესიის, ბინადრობის ხანგრძლივობის შესახებ და სხვა.

მ. ყოთაშვილი.

ზ ე მ ო თ ა ვ ს უ რ ე ბ ის თ ე მ ის ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა და წ ე ბ ე ბ უ ლ ე ბ ა ნ ი .

(გურია)

ჩვენი წერილის მიზანს შეადგენს თემის სხვა და სხვა დაწესებულებათა აღწერა და დღევანდელი მათი მდგომარეობის გაცნობა. უპირველეს ყურადღებას მივუქცევ 8 წლიან შრომის სკოლას და საერთოდ ყველა სკოლების საკითხს.

8 წლ. შრომის სკოლა გაიხსნა 1921 წ., ის მოთავსდა ორ კლასიან სკოლის შენობაში. მეცადინეობა ამ სასწავლებლის გახსნის შესახებაც წინეთაც იყო, მაგრამ ხელის შემშლელი აქაც ბევრი აღმოჩნდა. სხვა და სხვა ჯგუფებმა თავიანთ სასარგებლოთ მოინდომეს ამ დაწესებულების დაარსება.

*) მხოლოდ 1902 წ. ს. ასკანის ბიბლიოთეკამ გახსნა ბანკაროზე განყოფილება და მაშინ უხედა იყო წიგნებიც და გაზეთებიც.

ვინ კარგს ალაგს მოელოდა შიღ და ვინ სხვაფერად სარგებლობას შრომის დაუხარჯავთ. პირველ ვაგეტ მოვლენილ იქნა ვინმე მახარაძე, რომელმაც ფიქრით რომ ეს არის ვინმე მხარდნობილი თემი და როგორც მინდა ისე ვისარგებლებო. მოწაფეებს ფულები დასტყუა—სკოლისა და სწავლის დაწინაურებაზე და კი თავს არ იწყებდა. საბედნიეროდ, პედაგოგიური საბჭო მალე მიუხედავად იონებს ადგილიდან დაიხრებინა და გააძევეს. მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ მაშინდელმა გაფიცებმა და გამოსვლებმა შეუშალა ხელი.

1922—23 საბჭო. წელს მასწავლებლებმა ყველა ადგილობრივი მოხვდა, მიუხედავად ამისა ერთი არა სასურველი ინიციატივით მოხდა გამგის არჩევაზე. მეტადინერძის საქმეში კი ვატილებით ვაუშგობსდებო. ამ სკოლას ჯერ-ჯერობით ბევრი რამ აკლია, მაგალითად: ფიზიკური კაბინეტი, გეოგრაფიული რუკები, სხ. ღ სხ. საჭირო სურათები—სასკოლო დგანი ღ სხ. (მათ შორის სასკოლო შტამპლები, რომელიც შეეძინა აუცილებელია და ძლიერ საჭირო).

შეკეთება და გაუმჯობესება ესაჭიროება თვით შინობას. აქაურმა ახალგაზრდა მასწავლებლებმა საერთოდ, პედაგოგიურმა საბჭომ—მშობელთა წრემ თემთა და ერთი სიტყვით ყველამ, ვისაც კი გული შესტკვივა ამ დაწესებულებისადმი, ყურადღება უნდა მიაქციონ მას. მასწავლებლებმა მოწვეულ უნდა იქნას გამოცდილი პედაგოგები, სამწუხაროდ, სტუდენტობა, როგორც დროებით მასწავლებლები ვერ სტრეგებენ ნაყოფიერ კვლას. ერთ წელზედ მეტს თითქმის არც ერთი მათგანი არ რჩება. ეს მოვლენა კი მოწაფეებისათვის ძლიერ ხელის შემშლელია, ვინაიდან ყველა მასწავლებელს თითქმის საკუთარი მიტოვანი აქვს და ყოველწლიური ცვლებადობა სწავლის საქმეში ვერ არის ნაყოფიერი. ამ სკოლის გარდა თემში დღემდის კიდევ 3 სკოლა იყო პირველ დაწყებითი. ერთი მათგანი დაუხურავს განათლების განყოფილ, და მეორისას კი გადატანას აპირებს სხვა ალაგს. აშკარაა—რომ ამ სკოლის თავისი ადგილიდან მოხსნა დიდ აურ-ზაურს და უკმაყოფილებას გამოიწვევს ხალხში, რომელიც ის თავისი საკუთარი ხარჯით იავო.

ახალი სასკოლო ადგილი გეოგრაფიული მდებარეობით ძლიერ უხერხულია—თუ სხვა მხარეები არ აქვს დადებითი. ყველა ამ სკოლებისათვის საერთოდ მეტად ხელის შემშლელია ის, რომ ამავე დროს ისინი წარმოადგენენ სახალხო სახეობას; აქ იმართება წარმოდგენები, სახალხო კრებები თუ შიტინგები—აქვე არის თუ გნებავთ, სატუსალოც და არსენალიც—რაიც მეტად დამაზიანებელია სასკოლო შინობების.

საჭიროა, აღმასკომი შეეცადოს სახალხო სახლის აგებას—მით უმეტეს საამისო შინობა უკვე არის (ყოფილი ეკლესია), მხოლოდ მისი გადმოტანა საჭიროა.

გადავიდეთ ბიბლიოთეკაზედ, რომელიც ეს სამი წელიწადი თითქმის არც კი არსებობდა ფაქტიურად. ძველი გამგეობა დაიშალა—ახალი არსადა სჩანს და ინიციატორი საქმის მომგვარებელი არაინაა, ბიბლიოთეკის შეაფი-მაგადა-სკამი სხვა დაწესებულებებშია, თუმცა მართალია, რომ ისინი იქაც საჭიროა, მაგრამ ყველა დაწესებულებამ თავისი უნდა შეიძინოს და სხვა არ დაჩაგროს. ბიბლიოთეკის წიგნები თითქმის ყველა გაბნეულია, კატალოგი კი არ არსად სჩანს. არა სჩანს თუ რა იყო და ვის რა აქვს წაღებული. გაზეთები წელს თუმცა მოდის, მაგრამ აქ დამახასიათებელია ერთი

მეტად ცუდი მოვლენა—გაზეთების მისვლისთანავე დაიტაცებს ზოგიერთი პირები—კითხულობენ თავისთვის ოჯახში, თავისუფლათ, უკან დაბრუნებას კი არ ფიქრობენ. საჭიროა ამას ბოლო მოელოს, გაზეთები (ყველა №) წაკითხვის შემდეგ ბიბლიოთეკაში ინახებოდეს და არ იკარგებოდეს. წერაკითხვის უკონდინარტო, მკლანე ახალგაზრდობა უნდა უკითხავდეს და ურკვევდეს წაჩაკითხს.

უნდა შესდგეს ბიბლიოთეკის გამგეობა და საქმე თავის კალაპოტში ჩააყენოს; ძველს (თუ რამ იყო) თავი მოუყაროს და ეცადოს ახალი წიგნების, სურათებისა და სხვა საბიბლიოთეკო მასალის შექმნას.

სკოლისა და სამკითხველოს გარდა კულტ. დაწეს. ეკუთვნის აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის არსებობა დღემდის მერყევი იყო. ეხლა კი მგონი სამუდამოთ დამტკიცებულია უნდა აღინიშნოს, რომ ამ განყოფილების არსებობა აუცილებელია ჩინატურ-სურების ხაზისათვის, როგორც ხელისუფლებისათვის—აგრეთვე ხალხისათვისაც. ხალხის და მოაგრობის ერთად მოქმედებით ეს დაწესებულება უფრო უნდა მოეწყოს და გამშენიერდეს. (სასურველია—აგრეთვე თუ „სალოკო-ლიზმის“ სუნცი ცოტათი შენელებდა შიგ).

დაგვრჩა კიდევ ორი კოოპერატივი „საუნჯე“ და „გენი ოჯახი“, რომლებიც დღეს უნუგუშო მდგომარეობაში იმყოფებიან ხალხის საერთო ეკონომიურათ დაქვეითების გამო. წევრებს საბაიო თანხა თავის დროზედ ვერ შეაქვთ, რითაც ძლიერ ეშლება ხელი საქონლის მომხმარებელზედ მიწოდებას. ნაკლებია აგრეთვე ვაჭრობაც საქონლის სიძვირისა და სიძვირის გამო. საკუთარი თანხის უქონლობის გამო გამგეობას ვერ მოაქვს სეზონისათვის საჭირო გასასყიდ ნივთები—რითაც ხანდისხან უკმაყოფილება იმდებოდა. ასეთებს რომ ადგილი არ დაურჩეს და გამგეობის მუშაობა კრიტიკას გარეშე იდგეს, საჭიროა პირველი მოთხოვნილებების საგნები ბლომით იქმნას შეძენილი და რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში, ამ შემთხვევაში დ. სამტრედიასში წვიროლ-წვიროლთა საქონლის შექმნა არა დასაშვებია. ამას წინეთ „საუნჯეში“ ქურდობაც კი მოხდა, რომლის შინაარსი დეტალურად დღესაც გამოურკვეველია. კოოპერატივის არსებობას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს საერთოდ ყოველი ჯურის ჩარჩსავეკულიანტებიდან, მაგრამ ხალხი მუდამ მზათ უნდა იყვეს ასეთ პირებს შესაფერი პასუხი გასცეს.

ჩამოთვლილ დაწესებულებების აგებაზედ და მოწყობაზედ საზოგადოებას აუარებელი ფული და შრომა აქვს დახარჯული—დაუფასებელია აგრეთვე კერძო პირთა მოღვაწეობა მათ ირგვლივ, ამიტომ დღევანდელი ხელმძღვანელების ზნეობრივი მოვალეობაა საქმეს დიდი მუყაითობით მოჰკიდონ ხელი; თავიანთ მოვალეობას ყველანი პირნათლათ ასრულებდეს, იმ პირობებზედ კი—რომელიც საქმეს დაიფიცდეს და არ გააკეთებს მოთხოვრის შესაფერისი პასუხი. ყველა ამათი მეთვალყურე ან ხალხის მიერ არჩეული პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყვეს ანდა აღმასკომი დღევანდეს ყველაფერს თვალყურს. აღმასკომის მუშაობა ჯერ ჯერობით ვერ არის საგნებით დამაკმაყოფილებელი,—თუმცა ამ ბოლო დროს კი დაადგა ცოტა შემოქმედებითი მუშაობა.

ვიზრობით და ხელი შეუწყობ ყველამ ამ დაწესებულებებს, თუ გესურს ჩვენი თემის კულტურულათ აყვავება—ეყოთ დარწმუნებული, რომ ყოველი საფუძვლიანი შრომა ნაყოფს გამოიღებს.

ერეკლე კიკვაძე.

ხელ-მოკლე კაცს ვერც ვენახი და ვერც მიწა ვერას უშვებოდა, თუ მას იაფი გრძელ-ვადიანი კრედიტიც თან არ მისდევს.

ახლა მიიღეთ მხედველობაში ბუნებისაგან მიყენებული ზარალი სეტყვისა და ვალვისა სახით და თქვენ დამეთანხმებით, თუ როგორ მდგომარეობაშია გლეხი.

ამით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მიწის რეფორმა იყო აუცილებელი პირველი ნაბიჯი, მაგრამ თუ მას ზედ არ მოყვა იაფი გრძელ-ვადიანი კრედიტიც, შრომა უნაყოფოდ ჩავვიდის.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა პირობებში ახერხებს დღეს გლეხი კრედიტის შოვნას. ეს პირობები ისეთია ძნელია, რომ გლეხს უნახვევებს სარჩოსაბადებელს.

სახალხო სახლის მომავალ სათეატრო სეზონის დასის შემაღველობა ქალები: ანკარა, ასათიანი, ბარათაშვილი, იანჭოშვილი, რომანიშვილი-დგებუაძისა, მინდელი, ქართველიშვილი, ყოჩიაშვილი, მარგველაშვილი, ავალიშვილი, ჩიხლაძე, გამზარდია ჩარკვიანი.

ვაუებ: აღამიძე, ანაშვილი, გოცირიძე, ივერიელი, ელიაშვილი, ქუტურაძე, ლიპანიშვილი, ბუთლიაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, მეტრეველი, მენთეშაშვილი, მისურაძე, ნინიძე, თვადგირიძე, ა. ლორთქიფანიძე, თაზაშვილი, ქანიშვილი, ხახანაშვილი, ჯაბაური, გულისაშვილი, მესხელი, გიორგაძე, ი. რომანიშვილი, კობელი, კრავიშვილი, კალანდარიშვილი, გამრეკელი, სალაყაია, კანდელაკი.

რეჟისორები: მ. დვამიანი, ი. ბარველი. რეჟისორის თანამშემუშე: ვ. გარსიაშვილი, ს. ხოფერიანი. მოკარნახები: მ. თუმშალიშვილი, ცაბაძე, გელეიშვილი, მაგალიაშვილი.

აქ ჩამოთვლილს მსახიობ-სცენისმოყვარეთა შორის წელს წრის დას შეეპატნენ თითქმის 13—14 ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი სცენაზედ სამუშაოდ. წარმოდგენები გამართება კვირაში ორჯელ—ბარასკეფობით და კვირათობით.

სახალხო სახლის ქართული დრამა. სახალხო სახლში ქართული დრამის სეზონი იხსნება 7 ოქტომბერს მ. დადიანის „გუშინდელი“-თ, რომელსაც ამზადებს რეჟისორი ი. ბარველი. ამ პიესის როლები უკვე განაწილებულია და რეპეტეციებს შეუდგენენ 7 სექტემბერს. პირველი თვის განმავლობაში დაიდგმება შემდეგი პიესები: „უნიდაგონი“ გ. შალიკაშვილისა, ბარველის რეჟისორობით. „დამძრალი წალოკი“—ფსიხოლოგიური დრამა ნ. გერგესელისა, რომელსაც ამზადებს რეჟისორი მ. დვამიანი. „მეუღის დალაქი“—ლუნაჩარსკისა, „ცოდვა“—ვინჩენკოსი და სხვა. შემდეგი თვეების რეპეტურათაში მუშავდება. წელს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ახალს პიესებს. გამგეობა დიდის ხალხისით და სიყვარულით შეუდგა საქმეს.

განზრახულია თეატრში მოიზიდონ უმთავრესად მუშათა მასა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც სახალხო სახლი ეს მათი თეატრია და ამ უკანასკნელს 30 წლის განმავლობაში ამ თეატრს გრძობდა გაუფაქიზებია და მათში საზოგადოთ შეუტანია თვით-შეგნებისა და თვითცნობიერების სხივი, არა ერთი და ორი მუშა დაუხსნია, გადაურჩინია ლოთობის გზას და დაუყენებია ჰუმანიტის ცხოვრების გზაზედ.

ამ მხრივ სახალხო სახლს და აქ მომუშავე ქართველს დრამატულს წრეს დიდი სამსახური და ღვაწლი მიუძღვის მუშათა წინაშე, რასაც პირთუნელი ისტორია აღნიშნავს.

აკი ამიტომაც აქ მომუშავე მშრომელი მუშაინტელიგენტი მსახიობნიც დიდის სიყვარულით ემსახურებიან საყვარელს საქმეს და ბევრი მათგანი სრულიად უსასყიდლოთაც, მაგრამ ჩვენ გვირდა ამ თამად ყურადღება მივაქციოთ ერთს გარემოებას: მართალია წინეთ, იაფ ცხოვრების დროს, შესაძლებელი იყო და მოსახერხებელიც, რომ აქ მუშათათვის გამართულიყო წარმოდგენები. მხოლოდ დღევანდელს პირობებში მეტად მძიმეა, რადგანაც აქ არსებული სახალხო ფასებით ყოველად შეუძლებელია საქმის წარმოება. გამგეობა დიდს ნივთიერს გასაჭირს განიცდის. მას უსახსრობის გამო ბევრი

ამიტომ ვამბობ, რომ ჩარჩმა ბიბლიოთეკა კარგა და გლეხმა ამით კი სასვენობო ვერ იხარა მიწის რეფორმაც.

ეს არის მიზნად, რომ მიწის რეფორმა ხეობს უარს აცხადებენ ვინაიან აქაურმა გლეხის დამუშავების თაობაზე გვეყენოს.

საჭიროა შექმნა ისეთი პირობებისა, მშრომელ გლეხობას ჰქონდეს საშუალება გაჭირბის დროს იშოვოს კრედიტი ხელ საყრელ პირობში.

ამ მხრივ სულ ვერაფერს ვერ აკეთებს ს. ლმწიფო ბანკი. მათი სარგებლობენ მხოლოდ სკულანტები და მდიდრდებიან ისინი, ვინც მდიდრები არიან.

სტუმარი.

საჭირო საქმე ვერ მოუგვარებია. მას არა სურს არც შეუძლია ფასების მეტად აწევა, რადგანაც უმთავრესად მუშათა კლასი დადის და ამიტომ დი ფასები მათთვის სამძიმოა. ამისათვის ამ საქმე თვით მთავრობამ უნდა მიაქციოს უსათუოდ დი ყურადღება და აღმოუჩინოს სათანადო ნივთიერ დახმარება, რათა ამ მუშათა თეატრში მათი სასურველ დონეზედ იდგეს სათეატრო ხელოვნებასაქმე. ეს აუცილებელია.

ჩვენ ამასთანავე იმასაც ვიტყვით, რომ უკლებესი იქნებოდა აქ მომუშავე დასი მთავრობას თვის ხარჯზედ მიეღო. მაშინ ვატილებით უკეთეს პირობებში შეიქმნებოდა მუშაობისა. აქ მომუშავეს აქვს ამისი დამსახურება, როგორც ერთს უკვე მუშათა თეატრის შემქმნელთ და ამასთანავე სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი მუშათა თეატრია, სადაც აკადემიურ თეატრის შემდეგ, ყველაზედ უკეთესად არის დაყენებული ქართული წარმოდგენების საქმე. ამასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენ ვაფიგეთ, რომ წრის გამგეობა უკვე შედგომლობს მთავრობის წინაშე, რათა მან დათავის ხარჯზედ მიიღოს. ეს ძალიან მიზანშეწონილი ნაბიჯია გამგეობის მხრივ და მეტად სასურველი. ყოველ შემთხვევაში თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ უსათუოდ უნდა ეძლეოდეს მთავრობიდან საჭირო სუბსიდი, ურომლისოდაც ამ თეატრში საკუთარი ნივთიერ ღონისძიებათა ანაბარა საქმე წარმოება შეუძლებელი და წარმოდგენილია.

სახალხო სახლის დრამატული წრის 30 წლიუბილზე, რომელიც უნდა ვადახდელიყო გაზაფხულზე და სხვა და სხვა მოსახერხებელი გადართი შედეგისათვის, გაიმართება ნოვბრის ბოლო რიცხვებში. წინასწარ მუშაობის წრის გამგეობა უკვე შეუდგა, ამისთვის ამოჩეულია სხვა და სხვა კომისიები, რომელნიც აწარმოებენ მუშაობას. განზრახულია იუბილე რაც შეიძლება კარგად მოეწყოს.

ლია წაჩილი რედაქციის მიმართ

(კ. კაპანელის წერილის გამო)
მოქ. კ. კაპანელის განცხადება გაზეთ „ტრუბუნის“ №, რომ ის არ შედიოდა და არ შედის გაზეთ „მწვერვალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად და რომ მას გაზეთის გამომცემლობასთან არავითარი დამოკიდებულება არ აქვს, არ არის მართალი ხელშეკრულების დადებულს კ. კაპანელ-ქანტურისათ. ჩ—ნაიას და დ. კასრაძის შორის ამასთანავე გიღვეთ. კ. კაპანელის განცხადების გასაბათილებლად*) კ. კაპანელს ვაფასებთ აქვეს მიღებულ გამომცემლობისაგან და ყველა ამის შემდეგ მზგავს განცხადების გამოქვეყნება არ არის კეთილსინილ სიერი საქციელი. ჩვენ არც კ. კაპანელის განცხადების გვემინია და არც მზგავს პირთა მუქარის რომ კ. კაპანელის პატივისცემა არ გვექონდეს, უფრო შესაფერ და კეთილნი პასუხს ვაგვემდით. ნათესიც კი საჭიროა.

გაზ. „მწვერვალის“ გამომცემლობა. 1923 წ. 7 სექტემბერი.

*) ხელშეკრულება წარმოდგენილია რედაქციაში.

შთაქრობის მოქმედებაანი — და განაარბულებანი —

დადგენილება № 107.

საქართველოს სოც.-რესპუბლიკის სახალხო კომისარათა საბჭოსი

წითელი არმიისათვის წყალზე და ელექტრონზე საშუალოთა ტარიფის დაწესების შესახებ. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარათა საბჭოსი მიანიჩა რა საჭიროდ შედგავთიანი ფასის დაწესება წითელი არმიისათვის კომუნალური სამსახურის გაწევის საფასურად—ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს წითელი არმიის ყველა ნაწილისათვის და აგრეთვე წითელი არმიის მსამსახურეთათვის შედგავთიანი ტარიფი წყალზე და ელექტრონზე და იგი აღრიცხებოდეს: თვითეულ

ვედრო წყალზე 1წ საჩერვონო კაპეკისა, ხოლო ელექტრონის ენერჯის თვითეულ კილოუატ-საათზე 20 საჩერვონო კაპეკით.

2. მოქმედება ამა დადგენილებისა გაერცულს ბულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისარათა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაშვი. სახალხო კომისარათა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. სექტემბერი „6“ ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

სამხარის გლეხთა

მიწის რეფორმა და ღარიბი გლეხი

(წერილი კახეთიდან)
მიწის რეფორმა უმტკივნეულოდ ჩატარდა: ჩამოერთვა მიწები, ვენახები, სახნავ-სათესები იმათ ვინც თავის შრომით არ იმუშავებდნენ და გადაეცათ ღარიბ მშრომელ გლეხობას.

ეს იყო დიდებული აქტი სამართლიანობისა და მხოლოდ ამიტომ უპროტესტით და უდავიდარაბობით ჩაიარა ამ დიდებულმა ისტორიულმა რეფორმამ.

გადავიხედეთ სოფელში, დაეაკვირდეთ სინამდვილეს და აღვიაროთ: რა შედეგები მოჰყვა ამ რეფორმას.

მამულები ჩამოერთვათ ორ კატეგორიის ხალხს: მემამულე თავ-აზნაურობას ღ მემამულე-ვაჭრებს და სპეკულიანტებს.

რა დღეში არიან ეხლა არ ერთნი, ან მეორენი. იგი ცხოვრობდა მხოლოდ და მარტო მიწის რენტით, ვენახის შემოსავლით. სხვა წყარო ცხოვრებისა და სახსარი მას არ ჰქონდა.

იგი სულსა ღაფავს და სიღარიბის ყოველ მქსცესებს განიცდის. რა დღეშია ვაჭარი და სპეკულიანტი ყოფილი მემამულე?

ის ისევ ბედნიერია და დღეს იქნება უმეტესად, ვიდრე წინად. მამულები ჩამოერთვა? დიახ, მაგრამ ეს მოხდა ფორმალურად, ქალაქლზედ. სინამდვილეში ის ისევ მემამულეა, ძლიერი და მსხვილი მემამულე.

რათა და როგორ?
ღარიბ გლეხს ვენახი მიეცა, კარგი, და მუშავებული, მათეულზე აბმული ვენახი. მაგრამ მას არ გააჩნია სათანადო თანხა, ვენახის დამუშავება-კი მოითხოვს დიდს წინასწარ ხარჯებს: გოგირდი, შაბიამანი, დაბარვა, ვასხლა, ვათხვა.

შეუწამლელი ვენახი მთლად გახმება და არა თუ არავითარი ნაყოფს არ მოიციება საწლეულოდ, სამუდამოთაც ამოვარდება. რა ქნას გლეხმა, სად იშოვნოს წინასწარი თანხა?

მაზრაში არ არის სამეურნეო ბანკი, სამელორაციო კრედიტი. ჩახელმწიფო ბანკი არ იძლევა გერცელ-ვადიან კრედიტს. მალე ვადიანაც იძლევა ჩეროვონეტის კურსით. ასეთს ფორმას კრედიტორს მეურნეობა ვერ გაუძლებს.

დარჩენილა ერთი საშუალება: მიმართოს სოფლის სპეკულიანტს, ჩარჩს. ესეც უწყევს „მამობრივ“ დახმარებას, აძლევს ან ფულად, ან გოგირდსა და შაბიამანს იმ პირობით, რომ გლეხმა მისცეს ნახევარი მოსავლისა.

არ დასათანხმდეს? მაშ სად წავა, ვისთან მივა, ვინ გაუმართავს ხელს.

გლეხი სთანხმდება ამ პირობას. ამ კომინაციის სახით ის ხდება მონახვერე იმ ვენახში, რომელიც მისი „თითქოს“ საკუთრება არის.

სხვათადად, რომ ვსთქვათ, მყარდება ისევ ის დამოკიდებულება სპეკულიანტსა და გლეხ შორის, როგორიც იყო მიწის რეფორმამდე: მაშინაც ხომ ღარიბი და უმამულე გლეხები სანახევროდ იღებდნენ ვენახებს მამულის პატრონიებიდან.